„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლადო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი. 2024 * (5)98

წინ დიდი წარმატებები გვიდგია!

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე 2024 წელს მუნიციპალიტეტში არაერთი სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტი დაგეგმა, რომლის განხორციელება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

მერიის თითოეული თანამშრომელი აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმასა და განხორციელების პროცესში. ჩვენი თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი მოსახლეობის ინტერესებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან თანხვედრაშია.

მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ყველა ძალისხმევას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს თუ რას აკეთებს იგი, რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მერია სისტემატურად აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან და ყველა ღონეს ხმარობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის უკეთესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შექმნის მიზნით, კერძოდ,

2024 წელს მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები:

დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს დაბა ასპინძაში დარჩენილი ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მისი მთლინი სახელშეკრულებო (II-ეტაპი) ღირებულება შეადგენს 463 000 ლარს და სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“. პროექტის ფარგლებში ეწყობა ა/ბეტონის საფარი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია გრძელდება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხიდის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'' და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 983 000 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტბეტონის საფარი, გზის საყრდენი კედელი, სამი მილხიდი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

დაბა ასპინძაში ინტენსიურად დაიწყო და მიმდინარეობს სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სანაპიროს ქუჩაზე დეკორატიული ღობეების მოწყობა, ტროტუარების, გარე განათებისა და გარკვეულ მონაკვეთზე საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

სამუშაოები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,არალი" აწარმოებს. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

დაბა ასპინძაში ცოტა ხნის წინ აქტიურად დაიწყო და შეუფერხებლად მიმდინარეობს მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია. პროექტით დაგეგმილია კარებების შეცვლა, შეილესება და შეიღებება კედლები, დაიგება ლამინირებული პარკეტი, ჭერზე გაიკვრება თაბაშირ-მუყაო, დარბაზში გაკეთდება ამსტრონგის ჭერი, ახალი კიბე და პანდუსი. მთლიანად შეიცვლება ელექტრო სისტემა, შეიღობება და ეზოში დაიგება ფილები. სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 192 222 ლარს.

ასევე დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე პროექტით დაგეგმილი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'' და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 239 678 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში ეწყობა გზის დამცავი საყრდენი კედლები და გაბიონები. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

აგარის მონასტერში მისასვლელი გზის

რეაბილიტაციას აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი''. პროექტით დაგეგმილია 700 მეტრის სიგრძისა და 4-4.5 მეტრი სიგანის ა/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 523 574 ლარს.

აქტიურად მიმდინარეობს სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანი შპს ,,ბესტ ტრანსი'' შეასრულებს. პროექტით დაგეგმილია 932 მეტრის სიგრძისა და 4-4.5 მეტრი სიგანის ა/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 490 927 ლარს.

სოფელ ოთის შიდა გზების რეაბილიტაცია:

მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 382 000 ლარს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'' ასრულებს. პროექტის მიხედვით მოეწყობა ასფალტო-ბეტონის გზა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

სოფელ ხიზაბავრაში კლუბის რეაბილიტაცია:

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმე", რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 272 655 ლარს. დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია; სახურავის, ფასადის, იტაკის, ინტერიერის და სკამების მოწყობა.

სოფელ საროში სკვერის რეაბილიტაცია:

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნოკია“ შეასრულებს, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 183 333 ლარს. პროექტით დაგეგმილია სკვერის გამწვანება, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დეკორატიული ღობე, დაიდგმება მაგიდა, სკამები, ურნები ლამპიონები და მოსაცდელი.

ასპინძა-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილ-ხიდის რეაბილიტაცია. პროექტით დაგეგმილია:

- გათვალისწინებულია არსებული მილის დემონტაჟი და ახალი მილ-ხიდის მოწყობა (4X2მ); მილ-ხიდის რკინა/ბეტონის სიგრძე 15X6მ-ია, ორივე მხარეს 30 მ.; ლითონის მოაჯირის და ტრასის აღდგენა და დამაგრება 40 მ.; აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებს შპს „კავკასი'' და მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 169 000 ლარს.

დაბა ასპინძაში გარე განათების რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა განათება ოთხ ლოკაციაზე, ცენტრალურ ქუჩაზე, ასევე სოფ. იდუმალიდან ჩიხორიშამდე და მეფე თამარის ქუჩაზე. სულ189 სანათი.

სოფელ რუსთავში და ვარგავში:

გათვალისწინებულია გარე განათების მოწყობა. სოფელ ვარგავაში დამონტაჟდება 1536 გრძივი/მეტრზე 32 სანათი, სოფელ რუსთავში – 603 გრძივ /მეტრზე 16 სანათი, სულ 48 სანათი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით მუნიციპალიტეტში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება ანალოგიური სამუშაოები. ჩვენი თითოეული აქტივობა მიმართულია მოსახლეობის საჭიროებებზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს **„მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა„**, რომლის ფარგლეში ხორციელდება მოქალაქეთა მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით.

მუნიციპალიტეტი აფინანსებს 60 ბენეფიციარის ერთჯერად უფასო კვებას.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა **70 ბენეფიციარის ქირურგიული ოპერაცია.** სულ მიმდინარე წელს ამ მიმართულებით გამოყოფილია 120 000 ლარი, რომელიც გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია 100%-ით.

მუნიციპალიტეტში **დიდი ყურადღება ექცევა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს,** კერძოდ აქტიურად ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებული ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით, აგრეთვე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით საკანცელარიო, სასწავლო და პირადი ნივთების შესაძენად ხორციელდება ფინანსური მხარდაჭერა.

მიმდინარე წელს **ერთჯერადი ფინანსური დახმარება** გაიცა მინდობით აღზდაში მყოფ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **არასრულწლოვან 29 ბავშვზე,** თითოეულზე **400 ლარის** ოდენობით.

სტუდენტების ფინანსური დახმარება ითვალისწინებს: ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული სტუდენტების და ერუდირებული ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას, რომელიც მოიცავს სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტის მხრიდან. თანადაფინასება ერთ სტუდენტზე **სემესტრში შეადგენს 1125 ლარს**

პროგრამა ასევე ითვალისწინებს **მრავალშვილიანი ოჯახების** ერთჯერად ფინანსურ დახმარებას **500-დან 1200 ლარის** ოდენობით

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ასევე ეხმარება ფინანსურად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ომისა და შიარაღებული ძალების შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანებს და მათ ოჯახებს. დაფინანსება გასულ წლებთან შედარებით **გაზრდილია 500%-ით.**

„მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა“ საერთო ჯამში მოიცავს **662 000 ლარს,** რომელიც გასულ წლებთან შედარებით **გაზრდილია 300 პროცენტით** და ცალკეული მიმართულებებით უფრო მეტჯერ.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია **560 სოციალურად დაუცველი ოჯახი,** მათი შემადგენლობიდან **„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით“ დასაქმებულია 270 ადამიანი.**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს აიპ შშმ პირთა განვითარების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს შშმ პირების სოციალური ადაპტაციის ცენტრს. პროგრამის ამოცანაა ოჯახების მხარდაჭერა და ბენეფიციართა სოციალური ინკლუზია. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბენეფიციართა ფორმალურ განათლებაში ჩართულობასა და სასკოლო პროგრამის ათვისებაში, რაც თავის მხრივ გაზრდის ოჯახებისადმი დახმარების ხარისხსს და დემოგრაფიულ მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. დაფინასება გასულ წლებთან შედარებით **გაიზარდა 400%-ით.**

მუნიციპალიტეტის მერია მზადაა მიიღოს და განიხილოს მოსახლეობის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული.

მომავალ წელს კიდევ ბევრი სიახლეებით შევხვდებით. გისურვებთ მშვიდობასა და ჯანმრთელობას.

როსტომ მაგრაძველიძე,

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

14 ივნისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;"

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მისი ოდენობის დადგენის შესახებ" ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე;

2024 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. დიასამიძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. დიასამიძე; გ.ჯვარიძე;

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N69-დან N80-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ მაჟორიტარი დეპუტატის ანტონ ობოლაშვილის ასპინძის ბიუროს წარმომადგენლები და სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლის სამოქალქო განათლების, კლუბ ,,პრესტიჟის'' წევრები.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

ჯვიჰეული სოფელ საროში

,,მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის" ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტური მოეწყო. მოსწავლეებმა მოინახულეს სოფელ საროში მდებარე მესხურო ოდა-სახლები, როგორც ენერგოეფექტური ნაგებობის ადგილობრივი ნიმუში. მათ ადგილზე დეტალურად მიიღეს ინფორმაცია ოდის აგების სპეციფიკისა და მისი ენერგოეფექტურობის ასპექტების შესახებ. ასევე მოსწავლეებმა მოინახულეს სოფელ საროს სიახლოვეს არსებული ხელოვნურად განაშენიანებული ტყე, როგორც გარემოზე დადებითი გავლენის ნიმუში. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტურის ფარგლებში ჯგუფის წევრებმა ინფორმაცია გაცვალეს ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის უპირატესობების შესახებ. საგანმანათლებლო ტური ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

სტუმრად პატარებთან

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაბა ასპინძის N1 და N2, ასევე, სოფლების – ტოლოშის, რუსთავისა და ძველის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები მოინახულეს, ბავშვთა საერთაშორისო დღე მიულოცეს და საჩუქრად სათამაშოები და სახელმძღვანელოები გადასცეს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის" პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს, მინდობით აღზრდაში და რეინტეგრაციაში მყოფ არასრულწლოვნებს 400-400 ლარი ჩაერიცხათ.

ორდღიანი ფორუმი

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმი სახელწოდებით „ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება" – ჩატარდა.

ორდღიანი ღონისძიება, რომელიც თბილისის მერმა და „ათეას" პრეზიდენტმა კახა კალაძემ გახსნა, რამდენიმე სესიას მოიცავდა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ სესიაზე: ,,დემოგრაფია, მიგრაცია, სიღარიბე, ღირსეული საცხოვრისი, უსაფრთხო და კომფორტული გარემოზე" – ისაუბრა.

დამალელ მოსწავლეებს განახლებული სკოლა ექნებათ

უკანასკნელი რამდენიმე წელია, ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რაც უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით ეს აისახება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და, ზოგადად, განათლების სფეროსა მიმართულებით.

ამ ცოტა ხნის წინ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში დაიწყო და მაღალი ტემპით მიმდინარეობს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითოეულ ობიექტზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხიან ჩატარებაზე მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ კონტროლს აწესებს, რაც მშენებლობის ხარისხზეც აისახება.

ახლახან დამალის სკოლაზე მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები განახლებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში შეძლებენ განათლების მიღებას. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 6 573 270 ლარია.

გამოსაშვები ღონისძიებები

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელების გამოსაშვები ღონისძიებები მიმდინარეობს.

სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები ბაღში მიღებული ცოდნით, სახალისო და შემეცნებითი აქტივობებით, ლექსებით, სიმღერებითა და ცეკვებით წარსდგნენ აღმზრდელების, მშობლებისა და სტუმრების წინაშე.

ღონისძიების ბოლოს, პატარებს საბავშვო ბაღში სწავლის დასრულებასთან დაკავშირებით სამახსოვრო ალბომები და მოწმობები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღის კედლებს მიმდინარე სასწავლო-

სააღმზრდელო წელს ჯამში 102 ბავშვი დაემშვიდობა და სწავლას შესაბამის სკოლებში გააგრძელებენ.

მიმდინარე წლის ბოლომდე გაიხსნება ახლად აშენებული საბავშვო ბაღი სოფელ თმოგვში, რომელიც 3 სააღმზრდელო ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი; და გარდა სოფელი თმოგვისა, ახლომდებარე 3 სოფლის აღსაზრდელებსაც მიიღებს (ნაქალაქევი, ფია, მირაშხანი). ამჟამად მიმდინარეობს საბავშვო ბაღის აღჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით: ავეჯი, ტექნიკა, ჭურჭელი, სათამაშოები.

ელისო ბექაური,
ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი

ღალი მასწავლებელო, მშვიდობით ახა, ნახვამდის...

2024 წლის 20 ივნისი. დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსია დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში. აქეთ-იქით მიმორბიან ლამაზ, დახვეწილ კოსტიუმებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები. არც მათი მშობლები ჩამორჩებიან. მიჰყვებიან მათ ჟრიამულს და ანაზდად სკოლის სააქტო დარბაზში ამოყოფ თავს. იქ უფრო საინტერესო გარემო გვხვდება: იისფერსა და თეთრ ფერებში გადაწყვეტილი დარბაზი, ღრმა და შინაარსიანი ციტატები კედლებზე და ბევრი, ძალიან ბევრი ნაირფერი ყვავილი. ხვდები, რომ დღეს ასპინძის საჯარო სკოლის IVა კლასის მოსწავლეები თავიანთ საყვარელ მასწავლებელს ღალი ოქრომელიძეს ემშვიდობებიან... არა და, რა მალე გაირბინა ღალი მასწავლებელთან გატარებულმა ოთხმა წელმა. თითქოს გუშინ შემოდგეს სკოლაში ფეხი. ახსოვთ, გუშინდელი დღესავით ახსოვთ, როგორ უჭირდათ პატარებს მშობელთან გამოთხოვება. იყო ტირილიც, ჩუმი სევდაც, თუმცა მალე მიხვდნენ, რომ იქ, თურმე, საოცრად თბილი, მოსიყვარულე, დედაზე არანაკლებ საყვარელი ღალი მასწავლებელი ელოდებოდათ. და, აი, იმ დღიდან მოყოლებული, ერთად ჩაერთდნენ ცოდნის უძირო სამყაროში. ერთად ებრძოდნენ როგორც უკეთურებას, ასევე, ერთად სწავლობდნენ მოყვასის სიყვარულს და მათი მთავარი დევიზიც ერთი იყო: „მამული, ენა, სარწმუნოება.“

როგორ მშვიდად გრძნობდნენ თავს და დაცულად ღალი მასწავლებელთან ამ ოთხი წლის განმავლობაში გატარებულს, რომელსაც ბავშვობა ჰქვია. ახლა უკვე მოზარდები, ცხოვრების მეორე ეპიზოდზე გადასასვლელად ემზადებიან.

უყურებ ამ პატარა გოგო-ბიჭებს და ხვდები, რომ არცერთი გზა არ მიდის ბავშვობისკენ... შეგიძლია დაელოდო სიბერეს, სიყვარულს, ამინდს, ღმერთს – ყველაფერს, ბავშვობის გარდა. ყველაზე ლამაზი ეპიზოდიც ხომ ცხოვრებაში ბავშვობაა.“

იწყება ზეიმი. ერთმანეთს ენაცვლება ცეკვა და სიმღერა, ლექსი და პერფომანსი. მიუხედავად მხიარულებისა, ბავშვებიცა და მასწავლებელიც სადღაც, გულის სიღრმეში, სევდას ვერ მალავენ. არც მშობლები არიან ნაკლებ დღეში. ისინიც ხვდებიან, რომ ის ღამაზი ბილიკები, რომლებიც ბავშვებმა თავიანთ საყვარელ მასწავლებელთან ერთად გაიარეს, წარსულს უნდა ჩაბარდეს. ალბათ, დამეთანხმება მკითხველი, ეს ის მომენტია, გრძნობებთან სიტყვები რომ უფერულდება, როცა ძალიან ძნელია გაექცე სიტყვას – მიყვარხართ!

ყველაზე ამაღელვებელი მაინც ღალი მასწავლებლის დასამშვიდობებელი სიტყვა იყო – მონოლოგიც, ტირილიც, სიხარულიც, სევდაც. ძალიან ძნელია, ასწავლო ოთხი წელი და მერე ბუდიდან ააფრინო შენი დედობრივი სიყვარულით აღზრდილი პატარები. თუმცა, ღალი მასწავლებელს სჯერა, რომ ისინი მომავალში კარგი ადამიანები იქნებიან, ეყვარებათ ერთმანეთი და თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

დიდხანს იცოცხლეთ, ღალი მასწავლებელო! ღმერთმა ჰქნას, მარადჟამს, ღირსეულად გეტარებინოთ მასწავლებლის მძიმე, მაგრამ სიამოვნებისა და ბედნიერების მომნიჭებელი დიდი ტვირთი... მშვიდობით არა, ნახვამდის, ღალი მასწავლებელო!..

თათია თაქთაქიძე

ახალი ნაგავმზიდი გადაეცა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ასპინძის მუნიციპალიტეტს ახალი, თანამედროვე სტანდარტის, IVECO-ს ფირმის ნაგავმზიდი გადაეცა.

ახალი ნაგავმზიდი მუნიციპალიტეტის მასშტაბით იმოძრავებს.

აღნიშნული ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას და დასუფთავების სამუშაოების ეფექტურ შესრულებას.

10-კუბიანი ნაგავმზიდის შესყიდვა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა.

სანაპიროს ქუჩა იერსახეს იცვლის

უკანასკნელი რამდენიმე წელია, რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც დაბაში, ასევე სოფლებში მოსახლეობის ინტერესებზე გათვლილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ დღითიდღე ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება დასახლებული პუნქტები და მათი შემოგარენი. თვე არ გავა მოსახლეობას არ მიეწოდოს ინფორმაცია მიმდინარე ახალი მშენებლობებისა თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. ამჟამად კი დაბა ასპინძაში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს სანაპიროს ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა დეკორატიული ღობეები, ტროტუარები, დამონტაჟდება გარე განათების ბოძები და გარკვეულ მონაკვეთზე საყრდენ კედლებს უტარდება აღდგენითი სამუშაოები.

უკვე მოეწყო სპორტული მოედანი ხელოვნური საფარითა და ლითონის ღობით.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,არალი" აწარმოებს.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

მოსახლეობას სათანადო მომსახურებას გავუწევთ

ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრში დასაქმებულია 48 ადამიანი, რომლებიც მომსახურეობას უწევენ დაბის ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ არხებს, მათ შორის: სოფლების ნიჯგორის და ხიზაბავრის წვერის წყალსაცავს, ვარნეთის, რუსთავის და ხვილიშის სატუმბო სადგურებს. გარდა მელიორაციული ობიექტებისა, ცენტრი მომსახურეობას უწევს ხიზაბავრის, ხერთვისის, საროს, ნიჯგორის, ტოლოშის, ძველის, ჭობარეთის, ივერიის, დამალისა და ადგილმდებარე თოლერთის 24 კმ-იან სასმელი წყლის მაგისტრალურ ქსელს, წყალაღების წყაროებს, რეზერვუარებს, საუბნო ქსელებს, გამანაწილებლებსა და ბენეფიციართა სამომხმარებლო სასმელი წყლის ქსელებს. ცხრა ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრი მომსახურეობას უწევს მაგისტრალური სასმელი წყლის ქსელის 79 კილომეტრს და შიდა სამომხმარებლო ქსელის საერთო სიგრძის 42 კილომეტრიან 9 რეზერვუარს და 852 წყალ-მომხმარებელს.

ყველა სოფელში ტარდება სასმელი წყლის გაუსნებოვნების სადეზინფექციო ღონისძიებები, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის სეზონისათვის შემჭიდროებულ ვადებში ჩვენ მიერ განხორციელდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გაიწმინდა და გასუფთავდა გრავიტაციული, სადერვაციო და სატუმბო სადგურების საექსპლოატაციო არხები, რომლის სიგრძე 23 675 მეტრია, ხოლო სატუმბო სადგურების სადაწნეო ქსელების საერთო სიგრძე 3650 მეტრი. 2024 წელს ცენტრი მომსახურეობას გაუწევს 1000-მდე ბენეფიციარს და მოირწყვება 850 ჰექტარი ფართობი.

დაბის ტერიტორიაზე 2024 წელს კაპიტალურად გაკეთდა 900 მეტრი სიგრძის ბეტონის არხი, რომელიც მოემსახურება ასპინძის მოსახლეობას, აგრეთვე, სამომავლოდ გათვალისწინებულია ახალი პროექტები სარწყავი არხების კაპიტალური მშენებლობისა.

მერაბ ნარიმანიძე,
ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრის დირექტორი

ფეხბურთის ასპიწძელი გულშემატკივრები

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს ყურადღება გერმანიისკენ იყო მიპყრობილი, მათ შორის საქართველოსი, რადგან საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები პირველად ღებულობდა მონაწილეობას ამ ყველაზე პრესტიჟულ თამაშებში. იმისათვის, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო შესაძლებელი გულშემატკივართა ორგანიზებული დასწრება ფეხბურთის მატჩებზე, ხელისუფლების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა გულშემატკივრებისთვის მგზავრობის ღირებულების შეღავათიან ფასად მომსახურების გაწევა, ხოლო ადგილებზე – რესპუბლიკის აბსოლუტურად ყველა მუნიციპალურ ცენტრში, თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დამონტაჟდა გარე გამოყენების ლედ-მონიტორების, რაზეც ასევე შესაბამისად იზრუნა ასპინძის მერიამაც და საკუთარი სახსრებით, დაბა ასპინძაში, მეფე თამარის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, უზრუნველყო მისი დადგმა, რითაც ასპინძის მოსახლეობას და სტუმრად მყოფებსაც შესაძლებლობა მიეცა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის თამაშებისთვის თვალ-ყური ამ უჩვეულო გარემოში ედევნებინათ და საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ეგულშემატკივრათ. თითოეული მატჩის მიმდინარეობისას კი მონიტორთან ასობით გულშემატკივარი იყრიდა თავს, რაც განსაკუთრებულ აურას იწვევდა თითოეულ მათგანში.

მონიტორზე შემდგომში მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა სახის აქტივობები და ინფორმაციები განთავსდება.

ახალი წიგნები

ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ მიიღო შემდეგი დასახელების ახალი წიგნები:

ეთერ თედიაშვილი - და დედამიწა წამით შეჩერდა;
პიტერ ჰანდკე - მორავული ღამე;
ნათია ოსანაძე - მეწამული ჩიტი;
ლეილა ბეროშვილი - ცაზე მთვარე მიცურავდა;
ეკა ქევანიშვილი - ღარიბების ტრანსპორტი არსად გაჩერდება;
სოფიო კუბლაშვილი - ორი დაბადება;
იმან ჰუმაიდანი იუნისი - ველური თუთა;
მიხეილ ანდღულაძე - ნადგომი წყალი;
ნინო სამყურაშვილი - ჯავშანი;
ბექა ქურხული - თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დუშთი-ყიფჩაღი;
ჯორჯ ორუელი - ცხოველების კარ-მიდამო;
ელენე ჯანელიძე- კაცი მოსახვევში;
ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა;
ბასა ჯანიკაშვილი - სულები და თანამოაზრენი;
ზვიად რატიანი - კოცონი მდინარესთან;
გურამ პეტრიაშვილი - ირინეს ზღაპრები;
გიორგი კეკელიძე - ხვიჩა, ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი;
ინა არჩუაშვილი - მე ახლა არავის ველოდები;
ნაირა გელაშვილი - სარკის ნატეხი;
ნაჯიბ მაჰფუზი - როდოპისი;
მაკა ჯოხაძე - ფიჭვები უდაბნოში;
მაქს ფრიში - ლურჯწვერა;
რეზო გაბრიაძე - ჩემი პატარა ქალაქი;
ჩიმამანდა ნგოზი ადიჩი - ყვითელი ნახევარმზე;
ტონი მორისონი - სულა;
ოთარ ჭილაძე - ცა მიწიდან იწყება;
შოთა არველაძე - გუშინ;
სუზანა ტამარო - ნადი, საითაც გული გაგიწევს;
ივა მინდაძე - ტყუილის ანატომია.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის
საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული
განყოფილება

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“

თაყვანსა ვცემ მამულს – მესხეთს,
ძირძველ მუშქთა სახელმწიფოს,
საქართველოს: ხეთას, მოსხებს, –
ხელი ყველგან მოგეწიფოს.
სპერს, კოლხეთის უძველეს ფსკერს,
მღვიმეთ, ნეანტარელ წიფოს,
აღმოსავლეთ-დასავლეთს და
სამხრეთს ჩრდილო შეამწიფოს...
უძველესი კავკასია
საოცნებოდ ჰქონდა ჰიპოსს,
არგონავტების ლაშქრობას
აქაველი ჰიპერ(ეს)იოს,
დიდ გმირობად უსახავდა:
ამფიონს და ასტერიოზსს,
ძველი შუამდინარეთი
გზას უხსნიდა ბერძნულ მითოსს.
ქრისტეს კვართს ფლობს სიყვარული –
„ცხოველ სვეტი“ აკლდამისო,
უძველესი მეგობრობა
ქართველთ-ებრაელთა ძმისო,
ქრისტეს მოსვლამდე ქართველი
იყო ტომი თოთხმეტისო,
აფრიკა-ევრ-აზიის, ზღუდე - ხანა
კაინ ოზოუურისო...
თრიალეთის საპიენსით
ისტორია შეიძვრისო,
ათონის მთის აღმოჩენით
თამარს კვიპროსი გვიძღვნისო,
ისტორიის ლაბირინთში
მგრძნობიარე ღვაწლი სდისო, –
კრეტას ათასწლეულთ სამარხს –
„ანბანურ პიქტოგრაფიისო.“
კიდევ ბევრი აღმოჩენა –
საოცრება არს მიწისო, –
სად სიცოცხლე განიბანა
ნათლით წმინდა ჯვარცმამ ღვთისო,
უფალი მოგზაურობდა
ბაბილონს და წყალუხვ ტიგროსს,
არ დარჩენილა არც მხარე
არსიანის,
ჯავახისო...
მაჭატიელ მეცხვარეთა რძე დაუმალეს
რა თხისო,
მაღალ მთებში გამყინვარდა
წყევლით მწყემსი, ფარა ცხვრისო...
პური ხუთიათასი წლის –
კულტურაა ჯავახისო,
თავკვეთილას მღვიმე მოწმობს,
სიმართლის ხმა სადაც კრთისო.
იოანე ნათლისმცემლის
სისხლი გრძნობით ახლაც დისო,
უძველესი რწმენა ღვთისა
კლდეს ტერასად გარდაქმნისო.
ტყედ აღმართულ ველურ მთა-გორთ
დრო და ჟამი ღორღად ქმნისო...
ორბ-არწივთა საბუდარ მთათ
„ვარ-ძიებად“ წარმოქმნისო,
კენჭებიდან ანაგებნი
ციხე-ტაძარი გვცდის ღვთისო,
თაყვანსა ვცემ მამულს – მესხეთს,
ძირძველ მუშქთა სახელმწიფოს,
საიდანაც იშვა ქართლოს,
მცხეთოს,
ჯავახოს და სხვისო...
რვა სამთავროდ დაჰყო ქართლოს
საქართველოი ღვთისო!
და გულს ჩამრჩენია სუნთქვა
ჩემი დედულ-მამულისო,
საქართველოს ძირძველ კუთხის –
კულტურა სად აღიძვრისო,
სად ტიტანნი წარმოიშვა –
საქართვლოს კულტურისო,
რენესანსი აღორძინდა
ევროპელი რუსთველისო!..
ესე არის ისტორია
დრო-ჟამის ძველ მესხეთისო, –
საუკუნედ განძთსაცავის,
შეჭედილი მუხის ხისო,
წარმოაჩენს ათასწლეულთ –
„ლიტერატურულ მესხეთისო.“
თვალმარგალიტსა კვიპროსზე
მეფე თამარის ნეშთისო.
ღვთის სიტყვამ გაგვაგებინა
თქმულება მეფეთ-მეფისო,
ისტორიის ნათლის სვეტით
სიჭაბუკე გაზეთისო.
იხილება მიწის ბელტით
დაფარული კლდენი მთისო,
ვინძლო ისევ თრიალეთით,
ერუშეთით,
შავშეთითო...
საქართველოს ტვირთს მიზიდავს
არსიანის მტკვარი მკვეთი,
არაქსის აუზს მოიცავს,
წარსულის სხვა მონაკვეთი,
ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ნაკვალევს
სიტყვა გაზეთის,
ბრწყინვალე აზრის საცავი –
„ლიტერატურული მესხეთი.“

ავტორ-მთქმელი
მზიური დათიაშვილი-აფციაური

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია